ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ, დნეპრის ნაპირებთან, აღმოვჩნდით... საქართველოს ცენტრში. საქმე ის არის, რომ სლავუტიჩი — ქალაქში, რომელიც ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ენერგეტიკოსებისათვის შენდება, შეეჩვევნენ იმ რესპუბლიკების სახელი უწოდონ ახლად დაბადებულ მიკრორაიონებს, სადაც მშენებლებიც აშენებენ, მაგალითად, ტყეში დნეპრის მახლობლად ერთმანეთის მეზობლად მდებარეობს რვა მაკავშირე რესპუბლიკა — რუსეთის ფედერაცია და უკრაინა, ლატვა, ლატვია და ესტონეთი, საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი.

„საქართველოს" გვაცნობს „თბილისაქალაქმშენის" ერთ-ერთ სახლთსაშენებელ კომბინატთან შექმნილი „სლავუტიჩმშენის" ნაკადის უფროსი გ. შიხაშვილი:

— ჩვენი კომპლექსის პირველი რიგი, რომელსაც მომდინარე წლის დამლევამდე ჩავაბარებთ, — ეს არის დაახლოებით 9,5 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის შვიდი ხუთსართულიანი სახლი. ჩრდილოეთ უკრაინის კლიმატის თავისებურების გასათვალისწინებელად, თბილისში სახლთსაშენებელ კომბინატში მოუწიათ გადაეკეთებინათ მსხვილი ფილების გამშვებისათვის განკუთვნილი მოწყობილობის ნაწილი. ბინების ინტერიერში ფართოდ გამოიყენება კერამიკული ფილები, მაღალხარისხოვანი შპალერი. იატაკი ყველა ოთახსა და ჰოლში პარკეტისაა. აქ უკვე იყვნენ მომავალი ახალმოსახლეები და კმაყოფილი დარჩნენ.

უკრაინაში ჩამოვიდა დაახლოებთ ორასი მშენებელი თბილისიდან და ქუთაისიდან, საქართველოს მთიანი და ზღვისპირა რაიონებიდან. მემონტაჟეები შ. ზარიძე, ტ. ბურჯანიძე, მეამწე ა. გუჩაშვილი. მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენელ შრომითს კოლექტივებს შორის გაშლილი მეჯიბრეობის შედეგების მიხედვით დაჯილდოვდნენ უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს, უკრაინის პროფსაბჭოს და უკრაინის ალკ ცენტრალური კომიტეტის სპპირო სიგელებითა და ვიმპელებით.

— ყველა ერთი ოჯახივით ცხოვრობს, სხვისი ჭირი არ არსებობს, — თქვა მძღოლმა გ. მშვიდობაძემ. — მახსოვს, თუ როგორ მოვიდა სლავუტიჩში ცხობა საქართველოში მომხდარი სტიქიური უბედურების შესახებ. მრავალ ჩვენგანს სტიქიით დაზარალებულ რაიონებში ჰყავს ნათესავები, მეგობრები. მაგრამ ჩვენ მტკიცედ გვწამდა, რომ ქვეყანა მათ გაჭირვებაში არ მიატოვებდა. სანამ არ ჩავაბარებთ ქალაქს, ახალმოსახლეებს, შინ არ გავემგზავრებით.

მომდინარე წლის დამლევისათვის 150 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი გადაეცემა საეკსპლოატაციოდ სლავუტიჩში, ქალაქი უმაგალითოდ მოკლე ვადაში უნდა აშენდეს. ამას ხმარდება ინტერნაციონალური კოლექტივის მეცადინეობა. მისი შრომით იბადება ქალაქი ტყეში, საბჭოთა ქვეყნის ხალხების მეგობრობის კიდევ ერთი დიდებული ძეგლი.

ᲐᲦᲕᲖᲐᲠᲓᲝᲗ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲪᲕᲚᲐ

ᲠᲝᲪᲐ სამუშაო ცვლაში მივდივარ, ყოველთვის არსენალელთა — ჩვენი ქარხნის მუშათა ძეგლთან მიწევს ხოლმე გავლა. ბოლშევიკების ხელმძღვანელობით ისინი იბრძოდნენ კიევსა და უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. იმ შორეული დროიდან ქარხნის კედლებს ჯერ კიდევ შემორჩენია ტყვიებისა და ნამსხვრევების კვალი. ეს ჩვენი წმინდა რელიკვია, კოლექტივის რევოლუციური დიდების სიმბოლოა. მათ რომ შევყურებ, ჩემს თავზე, ჩემს ახალგაზრდა ცვლაზე ვფიქრობ.

მთელი ჩემი ცხოვრება „არსენალთან" არის დაკავშირებული. სამოცი წელი შევწირე მშობლიურ ქარხანას. აქ მუშაობდნენ მჭედლებად ჩემი მამა-ბიძები. სამოქალაქო ომის წლებში მათ მჭედლის ოსტატობის ნაცვლად შაშხანები აიღეს და საბჭოთა სამშობლოს იცავდნენ.

ბავშვობიდანვე ვოცნებობდით ქარხანაზე, რომელსაც მდიდარი ისტორია და შესანიშნავი ტრადიციები აქვს. ჩვენი დინასტიის ოცზე მეტმა წარმომადგენელმა დაუკავშირა თავისი ბედი „არსენალს", ამჟამად უფროსთა საქმეს ახალგაზრდობა განაგრძობს.

დიდი ხანია, რაც დასვენების უფლება მოვიპოვე. მაგრამ გადავწყვიტე საწარმოში დავრჩე: სანამ ძალა შემწევს, ახალგაზრდობასთან ვიმუშავებ. ახლა ისეთი დროა, გულხელაკრეფილი ვერ დაჯდები. ბევრი ჩემი ნაშეგირდალით ვამაყობ, მახარებს ზეინკლის ვასილ ალექსეევიჩოსა და ბორის სოვაკოვის, საამქროს უფროსის ლოგინოვის, სხვა ყოფილ შეგირდთა წარმატებები. მაგრამ, გულახდილად რომ ვთქვა, ცოტა როდი შემხვედრია საწყენიც. ბოლო დროს ქარხანას აკრიტიკებენ სერიოზული შეფერხებებისათვის. შრომის ორგანიზაციაში, ტექნოლოგიაში, კადრების აღზრდასა და მომზადებაში თავს იჩენს ხარვეზები.

განსაკუთრებით მაწუხებს, რომ ზოგიერთი ახალგაზრდა პასიურობს და სხვის ქმაყოფილ ყოფნას არჩევს. ისინი ელიან, თუ როდის და ვინ აღმოფხვრის მათ მაგივრად უწესრიგობას წარმოებაში, მოაგვარებს მათი დასვენების საკითხს.

ძვირად გვიჯდება წარსული შეცდომების გამოსწორება. ჩემი აზრით, ახლანდელი გარდაქმნა — ეს უპირატესად ახალგაზრდობისათვის ბრძოლაა. ქარხნის კომუნისტები, ყველაზე გამოცდილი დამრიგებლები ფ. კუშჩენკო, ნ. ლასტოვსკი, ვ. ჭკილი, და სხვები ახალგაზრდებს მარტო თავიანთ მდიდარ გამოცდილებას კი არ უზიარებენ, არამედ ასწავლიან კიდეც, თუ როგორ უნდა იცხოვრონ ღირსეულად, განიწმინდონ გულგრძნობისაგან, ეგოიზმისაგან, ინგარებისაგან. პარტორგანიზაციის ინიციატივით მოეწყო მუშათა შეხვედრები პედაგოგებთან, ახალგაზრდა წარმოების მუშაკებთან და მშობლებთან. ვეტერანები ახალგაზდებს გულახდილად ესაუბრებიან ხოლმე ქარხნის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების მუზეუმში.

მომაჩნია, რომ ჩვენ უფრო მეტად უნდ

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ ხოვლენა ■ კომენტარი

„...მთელი ჩემი ცხოვრების გზაზე წინ მიმიძღოდა ადამიანებისადმი სიყვარული“ — ქართული ლიტერატურის კლასიკოსის დავით კლდიაშვილის ეს სიტყვები ლაიტმოტივად გასდევს მთელ მის შემოქმედებას. და ხალხიც ამგვარივე სიყვარულით უპასუხებს მას.

ყოველწლიურად, ტრადიციისამებრ

მწერლის მშობლიური თერჯოლის რაიონი საზეიმოდ აღნიშნავს მისი დაბადების თარიღს. წლეულს მწერლის დაბადების 125 წლისთავია. ამ მოვლენას რაიონმა მთელი რიგი ღონისძიებები მიუძღვნა. საიუბილეო დღეები დაგეგრგვინდება საღამოთი, რომელიც ხვალ თერჯოლაში, კინოთეატრ „გამარჯვებაში“ გაიმართება.

▼▼

დიდი ოქტომბრის სადღესასწაულო დღეებში თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე გამოვა კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ შექმნილი ნაწარმოები

„ხარება და გოგია“

როგორც დამდგმელი რეჟისორი გიორგი შენგელაია ამბობს, ფილმის ისტორიულ-სათავგადასავლო ჟანრი ყველაზე უპრიანია ხალხური ლეგენდის სულისკვეთების გადმოსაცემად. ფილმის ავტორების აზრით, ხალხის სული თავისუფალია და ამაყი, დაუმორჩილებელი სულისანი არიან სახალხო გმირებიც, და, ალბათ, სწორედ მათ განეკუთვნებათ ხარება და გოგია და მათი თანამებრძოლები.

▼▼

გუშინ თბილისის ჟურნალისტის სახლში (ერეკლეს მოედანი, № 3) გაიხსნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა, რომელზეც მრავალი საინტერესო ნამუშევარია ექსპონირებული.

გამოფენა მრავალფეროვანია თემატურადაც და ჟანრობრივადაც.

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტების და საქინფორმის მასალები რუბრიკისათვის მოამზადა **რ. მუხიგულაშვილმა.**

საგანგებო შემთხვევა

მექრთამე აღმასკომში

წლეულს 5 ოქტომბერს ქ. თბილისის 26 კომისრის რაისაბჭოს აღმასკომის არქიტექტურის განყოფილების მუშაკი, 1946 წელს დაბადებული ვახტანგ ალექსანდრეს ძე ბეგიაშვილი ამხილეს მექრთამეობაში.

„კომუნისტის“ კორესპონდენტმა ქალაქ თბილისის პროკურორს, იუსტიციის უფროს მრჩეველს **თამაზ ტუღუშს** სთხოვა განემარტა ეს ფაქტი.

— ბევრი დაიწერა და ითქვა, მიღებულია საკანონმდებლო აქტები, დაისახა მთელი რიგი ღონისძიებები, — თქვა მან, — მაგრამ არა და არ დაადგა საშველი ისეთი აქტუალური საკითხის მოგვარებას, როგორიც არის მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებების დროული და ობიექტური განხილვა და გადაწყვეტა. ზოგიერთ დაწესებულებასა და ორგანიზაციაში ჯერ კიდევ შეინიშნება მოქალაქეთა განცხადებების შესწავლისადმი ფორმალური, ბიუროკრატიული დამოკიდებულება და საქმის გაჭიანურება, რასაც ზოგ შემთხვევაში საფუძვლად ანგარება უდევს.

მკითხველი, ალბათ, უნებლიეთ დასვამს კითხვას, რატომ ხდება ასე?.

კითხვა სავსებით ლოგიკურია და მისი პასუხი უნდა ეძიოთ საქმისადმი ორგანიზაციების იმ ხელმძღვანელი მუშაკების ფორმალურ და ზერელე მიდგომაში, რომლებიც მათთვის დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობას ცუდად ასრულებენ, ანგარებითს ზრახვებს შეუპყრია.

ჯერ კიდევ 1985 წელს თბილისში უშაკოვის ქუჩა №46-ში მცხოვრებმა გიორგი პეტრეს ძე დემეტრაშვილმა, რომლის ოჯახი შვიდი სულისაგან შედგება და უკავია 18 კვადრატული მეტრი ფართობის ერთი ოთახი საერთო სათავსით, მიმართა თბილისის 26 კომისრის რაისაბჭოს აღმასკომის არქიტექტორის განყოფილების ინჟინერ-არქიტექტორ რ. ვახტანგ ალექსანდრეს ძე ბეგიაშვილს, დაერთო ნება გაფართოების მიზნით მიეშენებინა ერთი ოთახი თავისი სათავსით, რაზეც კატეგორიული უარი მიიღო. საკითხის გადაწყვეტა გაჭიანურდა 1987 წლის 25 სექტემბრამდე. 25 სექტემბერს კი, როდესაც გ. დემეტრაშვილმა რაიაღმასკომში რიგით მესამე განცხადება და საჭირო საბუთები წარადგინა, მოთმინებადაკარგულმა ვ. ბეგიაშვილმა უთხრა: „მე შენი ქაღალდები კი არ მჭირდება, არამედ...“, და იგი სამი დღის შემდეგ დაიბარა. აი 28 სექტემბერს კი ვ. ბეგიაშვილმა ინვალიდ პენსიონერ მოქალაქე გ. დემეტრაშვილს 7000 მანეთი მოსთხოვა. მაგრამ, წაიწყდა რა წინააღმდეგობას, დიდი ვაჭრობის შემდეგ 3000 მანეთს დასთანხმდა და თან მბრძანებელური კილოთი უთხრა, „ძაგ თანხას კაპიკი არ დააკლდება, ეგ ფული მარტო ჩემი კი არ არის, უფროსსაც უნდა მივცეო“.

თანახმად წინასწარი მოლაპარაკებისა, 5 ოქტომბერს გ. დემეტრაშვილმა მიიტანა ფული და ვ. ბეგიაშვილის მითითებით რაისაბჭოს აღმასკომის წინ მდგომი ავტომანქანის („გაზ 24“ ც — 35-69 გა) საბარგულში ჩადო. ამავე მანქანით ჩავიდა იგი ზნაურის რაიონს მშობლიურ სოფელ ავნევში და შესანახად მიაბარა მამიდაშვილს ზურაბ ნიკოლოზის ძე გასიევს, უკან დაბრუნებისას ვ. ბეგიაშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკებმა დაიკავეს.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით თბილისის პროკურატურაში 1987 წლის 6 ოქტომბერს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ვ. ა. ბეგიაშვილის მიმართ საქართველოს სსრ სსკ 189-ე მუხლის მეორე ნაწილით. წინასწარი გამძიაება დაეკალა პროკურატურის საგამძიებო განყოფილების უფროსის მოადგილეს, იუსტიციის მრჩეველს გივი ჭავჭანიძეს.

საყურადღებოა, რომ ჯერ კიდე ვ. ბეგიაშვილის დაპატიმრებამდე არაერთი საჩივარი იყო შესული მისი უკანონო მოქმედების შესახებ. გიგზავნა მასალები 26 კომისრის სახელობის რაიონის პროკურატურაში ქრთამის გამოძალვის ფაქტის გამო, მაგრამ რატომღაც ყველა მათგანი ურეაგირებოდ რჩებოდა. ჩვენ ახლა ვიკვლევთ ასეთი „უყურადღებობის“ მიზეზებს.

შემოწმებამ უკვე ცხადყო, რომ 26 კომისრის რაისაბჭოს აღმასკომში მოქალაქეთა საჩივრების შესწავლა-გადაწყვეტა ხდებოდა კანონის უხეში დარღვევით, უსაფუძვლოდ აჭიანურებდნენ საქმეს და იღებდნენ არასწორ გადაწყვეტილებებს. ამ საკითხს ამჟამად გამოძიება ამოწმებს.

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე აკაკი გონგლაძე, მისი მოადგილე უშანგ ბეგიაშვილი და რაიონის არქიტექტურის განყოფილების გამგე თენგიზ ადამია განთავისუფლებული არიან თანამდებობიდან.

ქ. თბილისის პროკურატურამ 1987 წლის 21 ოქტომბრის კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე იმსჯელა 26 კომისრის რაიონის პროკურორის ვაჟა კელეურიძის და მისი თანაშემწის მზია ლომაზოშვილის მიერ ვ. ბეგიაშვილის მასალების შემოწმების დროს დაშვებულ ხარვეზებზე და მათ მკაცრი დისციპლინური სასჯელი დაედოთ. ხსენებული მასალები ამოღებულია რაიპროკურატურის წარმოებიდან და გაუერთიანდა ვ. ბეგიაშვილის ძირითად საქმეს.

ქალაქ თბილისის პროკურატურა ყველაფერს იღონებს, რათა ამხილოს დამნაშავე პირები და საკადრისად მიუზღას მათ.

ამინდი

ფრთხილად, ავდარია!

ამ დღეებში თბილისში ხან წვიმს, ხან თოვს. ამინდის ჭირვეულობამ, რა თქმა უნდა, საზრუნავი მოუმატა მძღოლებსა და ქვეითებს, აგრეთვე იმათ, ვინც პასუხს აგებს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისათვის. რა მდგომარეობაა ახლა რესპუბლიკის დედაქალაქისა და სხვა რეგიონების ავტომაგისტრალებზე; საქინფორმის კორესპონდენტის ამ კითხვას უპასუხებენ:

რ. ნაჰუტებია, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს სახელმწიფო ავტოინსპექციის განყოფილების საგზაო-საპატრულო სამსახურის ქვეგანყოფის მეთაურის მოადგილე:

— ავდარი, ჩვეულებრივ, ანელოებს მოძრაობის საშუალო სიჩქარეს, რის გამოც ბევრგან იხერგება გზა. ამიტომ დავრაზმეთ პირადი შემადგენლობა ტრანსპორტის ნაკადის მოსაწესრიგებლად. რაც შეეხება გზის საფარს, თუ საჭირო გახდა, მარილსა და ინერტულ მასალებს მოვაყრით. ჯერჯერობით ეს მხოლოდ წყნეთის გზატკეცილზე გახდა საჭირო.

ამ დღეებში ხილვადობა ხშირი ნისლის გამო შეზღუდულია, რაც მძღოლების გაძლიერებულ ყურადღებას მოითხოვს. სამწუხაროდ, ამ მიზეზით გელოვანის მოედანზე უკვე შეეჯახა ერთმანეთს ექსკავატორი და „ჟიგული“. ბედად, მსხვერპლი არ ყოფილა.

დ. ფოფკოლაური, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს უფროსის მოადგილე:

— 29 ოქტომბერს პრაქტიკულად ყველა ძირითადი მაგისტრალი მოქმედებდა. მაგრამ საქართველოს სამხედრო გზაზე აკრძალულია ავტობუსებისა და ტრაილერების მოძრაობა, მსუბუქ ავტომანქანებს აქ მოძრაობა შეუძლიათ მხოლოდ ჯაჭვებით. ანალოგიური მოთხოვნები აქვთ წაყენებული მძღოლებს, რომლებიც ერწოს უღელტეხილთან, თბილისბოგდანოვკის და ბედიან-წალკის გზებით მიმდიან. რიკოთის უღელტეხილი ღიაა, მაგრამ გვირაბში დილიდანვე ჩაქრა სინათლე.

თ. მაჩაბლიშვილი, რესპუბლიკის საავტომობილო გზების სამინისტროს სახელმწიფო გზების სამმართველოს უფროსის მოადგილე:

— ეს-ეს არის შეწყდა მოძრაობა ჯვრის უღელტეხილზე — გზას წმენდნენ დიდი თოვის შემდეგ. ვფიქრობ, მძღოლებს დიდი ხნით არ შევაყოვნებთ. გარდა ამისა, იწმინდება საქართველოს სამხედრო გზის ზოგიერთი სხვა უბანიც, მაგრამ იქ მოძრაობა გრძელდება. მთლიანად კი მზად ვართ მეტეოროლოგიური პირობების ნებისმიერი შეცვლისათვის: საავტომობილო გზების სამინისტროში დაწესებულია სადღეღამისო მორიგეობა, ვეყავს სპეციალისტები, არის ტექნიკაც და მაალებიც.

რიკოთის უღელტეხილის გვირაბი კი ძალზე გვაწუხებს. ავარიების თავიდან აცილების მიზნით აქ სახელმწიფო ავტოინსპექციის წარმომადგენლები და ჩვენი მუშაკები პატრულობენ.

დიდი იღიას საიუბილეო გამოფენა

„შენ გიცოცხლია, როგორც უნდოდა!“

ეს ილიას ხმაა.

წუთისოფელზე დაფიქრებული დიდი მოძღვარი უწინარესად იმას ნატრობდა, ისე გაევლო მისი ეკლიანი გზები, რომ მარადისობაში გარდასულს ასრულებოდა წმიდათაწმიდა სურვილი:„ რომ ჩემს საფლავზედ დაყუდებულმან ქართველმა, ჩემგან შეყვარებულმან, გულწრფელობითა და სიმართლითა მე ჩამომძახოს თუნდ ჩუმის ხმითა! იყავ მშვიდობით შენს მუყდრო ძილში! შენ გიცოცხლია, როგორც უნდოდა!..“

და აჰა, ეს მხატვრული ტილოც — კიდევ ერთი ყვავილი უჭკნობი საიუბილეო გვირგვინისა, რომელიც დაბადების 150-წლისთავზე მიუძღვნა მას „ქართველმა, მისგან შეყვარებულმან“ — სრულიად საქართველომ! იგი ის სხეულსანი წამია, რომელიც მარადისობის შინაარსს იტევს; იგი ყოველი ჩვენგანის მარად მღელვარე ფიქრია კაცზე, ვისთანებზედაც ბრძანებდა თვითონ: „თვითეული წამი მისის ცხოვრებისა — მოძღვრებაა, მაგალითია, ანდერძია ჩვენთვის და ჩვენის ქვეყნისათვის“.

„წიწამურთან რომ მოჰკლეს ილია მაშინ ეპოქა დასრულდა დიდი!“ — ჩვენი საუკუნის უდიდესი პოეტის ეს სტრიქონები იქცა **რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრის, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატის თემო გოცაძის** ნახატის სათაურად და ამ სახელწოდებამ ზედმიწევნით გამოხატა კომპოზიციის იდეა, მხატვრის სათქმელი და განაზრახი.

აქ ამ ტილოზე, თითოეული ჩვენგანისათვის უძვირფასესი ის აზრია გაცხადებული, რომ, როგორც საქართველო არ შეიძლება გადაიქცეს წარსულად, ისე ილია არ შეიძლება ოდესმე გახდეს მხოლოდ გარდასულის მკვიდრი.

იგი სულია ჩვენი თანამდევი — არა წარსულიდან განსაკუთრებულ ქომს გამოხმობილი, არამედ განსახიერებული ჩვენს ყოველდღიურობაში;

ფიქრში, რომელიც მამულის ბედ-იღბალს დასტრიალებს;

გამარჯვებებში, რომლებსაც ბრძოლითა და შრომით მოვიპოვებთ;

მარცხსა და ტკივილებში, ურომლისოდაც არ იქნება წუთისოფელი.

ვინ იცის კიდევ, რამდენ ტბილ-მწარე ფიქრს აღძრავს მხატვრის ახალი ნამუშევარი; იგი ნამდვილად არის დიდი ეროვნული ზეიმის შესაფერისი ნაწარმოები.

და მაინც, ნათქვამი სხვაა, საკუთარი თვალით ხილული — სხვა რაღა თქმა უნდა, ორიგინალის პეწსა და ბიბლის საგაზეთო ფოტოლუსტრაციაც მცირეოდენ თუ გადმოსცემს.

ამიტომაც გირჩევთ, თავად ეწვიოთ თბილისის სამხატვრო გალერეას, სადაც ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენაზე ნამდვილ შემოქმედებასთან შეხვედრის განუმეორებელ სიხარულს განგაცდევინებთ ქართველ ფერმწერთა ტილოების გაცნობა.

ხსოვნა

დროის პათოსი

სიუმაყვილისდროიდელი ორი ეპიზოდი განსაკუთრებით აღიბეჭდა მომავალი მხატვრის მეხსიერებაში, არათუ აღიბეჭდა, არსებითი როლიც შეასრულა მის ცხოვრებაში.

პირველი აკაკი წერეთლის სახელთან, მის დაკრძალვასთან არის დაკავშირებული; მგოსანი საჩხერიდან თბილისში რომ ჩამოასვენეს, ფეხზე დადგა მთელი საქართველო და მასთან დედაქალაქი. ხალხი ჯერ კიდევ მატარებლის ჩამოსვლამდე მიაწყდა სადგურს. ნემსი არ ჩავარდებოდა. ახლომახლო მცხოვრებმა ყმაწვილებმა საიმედო ადგილი გამოძებნეს — ხეებზე. აძვრნენ და იქიდან უთვალთვალებდნენ პროცესიას, რომელიც მდორე მდინარესავით მოედინებოდა. სასახლე დაჭედილი იყო, მაგრამ სახურავზე მას შემინული სარკმელი ჰქონდა, რომელშიც მხცოვანი მგოსანს სახე მოჩანდა. ეს ღვთაებრივი სახე სამუდამოდ დაახსომდა კორნელ სანაძეს...

მეორე ეპიზოდის მოქმედების ადგილი ყოფილი მუშტაიდის ბაღია, სადაც ცნობილ მხატვარს მოსე თოიძეს გამოუურჩევია თანატოლებიდან თმახუჭუჭა, ცოცხალი ბიჭი და დაუხატავს. ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, მეტჯერაც მოუწია დათქმულ დროს მისვლამ. მხატვარი ხატავდა, ბიჭი კი დამშეულივით მისჩერებოდა პალიტრას... მერე ნანატრი ლუკმასავით იშოვა საღებავები და თითოოცა სცადა დაეხატა თავისი შთაბეჭდილება. ფარულად ხატავდა ხოლმე და როცა შემთხვევით გამომქღავნდა ეს ამბავი, მაესტრომ მოუწონა და წააქება...

* * *

77 წლისა წავიდა ჩვენგან საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი კორნელ სანაძე. მის სახელოსნოში 3000-მდე ნამუშევარია, ნაწილი გამოფენილია, უმეტესობა კი ერთმანეთზე აწყვია 1975 წელს გამართული გამოფენის შემდეგ ახალი ექსპოზიციის მოლოდინში. მოლბერტიც იქვეა; მასზე თეთრი ქაღალდია გვირგვინოსანი ქალის კონტურებით.

— თამარ მეფეა? — ვეკითხები ქალბატონ თინას, კორნელ სანაძის ქვრივს, რომლის ფერნაცვალ, მშვენიერ ნაკვთებს არაერთ ნახატში ამოიცნობთ.

— არ ვიცი, — ისე ამბობს იგი, თითქოს ორმოცი წელი ერთად არ ეწოოთ ჭაპანი, თითქოს მისი ფიქრების თანაზიარი და ხმა სულის მკურნალი არ ყოფილიყოს.

— თქვენ გიკვირთ და, მართლაც უამრავი რამ დაუხატავს უჩემოდ, ახლა და ახლა ეპოულობ ჩვენი მწერლების, საზოგადო მოღვაწეების, ჩემთვის უცნობ ფერწერულ თუ გრაფიკულ პორტრეტებს. როდის ასწრებდა... სამუშაოდან ვიდრე დავბრუნდებოდი, იგი ხატავდა და ხატავდა... ეს ჩემი პორტრეტიც ახლა ვიპოვე — მიჩვენებს დაუთბარებელ ნახატს.

ხელმარჯვიანი ხელოვნის ქმნილებები მისი ახალგაზრდობისა და სიმწიფის ხანას გვაცნობს, თუმცა ტიხარს იქით დაწყობილ ნამუშევრებს ვერ ეეკარებთ, რაც კედლებზეა, ისიც კმარა მხატვრის სახელის გასაცოცხლებლად! მაგრამ ეს კია, კულტურულ მემკვიდრეობის მეტი ამაგი და დფასება უნდა, ოჯახი ამ საქმეს ვერ აუვა.

* * *

ალბომს, რომელიც ოთხიოდე წლის წინათ გამოსცა „ხელოვნებამ“ ათიათასიანი ტირაჟით ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე, ცნობილ ხელოვნებათმცოდნეების შ. ამირანაშვილისა და ა. ლებედევის შესავალი წერილები ახლავს. შ. ამირანაშვილის სიტყვით, კ. სანაძის შემოქმედებითი გზა მისი მსოფლმხედველობისა და სტილის შინაგანი მთლიანობის დასტურია. ორივე ავტორთან ხაზგასმულია ფანტაზიისა და სიმართლის ის ნიჭი, რომლის ძალითაც ესოდენ ცხოველმყოფლად გადმოსცემდა ხელოვანი სინამდვილეს.

უპირველესი, რაც კორნელ სანაძის სახელოსნოში ესოდენ თვალსაჩინოა, ჟანრობრივი და თემატური მრავალფეროვნებაა — ფეხით მოუვლია საქართველო, მისი ყოველი კუთხე-კუნჭული, წარსულიც განუცდია და თანამედროვეობაც, — დროს დამბობლებია; ახალი ცხოვრების მძაფრი შეგრძნება, განსაღების პათოსი ახასიათებს აჭარის ციკლს, მეტალურგებზე, მაღაროელებზე, მიწათმოქმედ ადამიანებზე თუ მეჩაიეებზე შექმნილ სერიას. ფსიქოლოგიური სიღრმით გამოირჩევა თანამედროვეთა ფერწერული თუ გრაფიკული პორტრეტები, ოფორტები. მისი ადრეული და უკანასკნელი ავტოპორტრეტიც აქვეა.

დიდხანს მდგარა თურმე ამერიკელი მხატვარი რეფრეჟე მონუმენტურ ტრიპტიქთან „შოთა რუსთაველი“, „მზიური საქართველო“, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის, ანდრია ბალანჩივაძის, სერგო კლდიაშვილის პორტრეტებთან და მერე მარჯვენაზე ემთხვია ხელოვანს...

დიდხანს ვიდექი აკაკის ხატებასთან—ბევრ ცნობილ ტილოს გადასწონის ეს ჰაეროვანი პორტრეტი, შესრულებული მისთვის ჩვეული შერეული ტექნიკით, (ქაღალდი), რომელშიც სოიკონი სიფაქიზითა და სინატიფით გაცხადებულა მგოსნის სათნოება — იმ ყმაწვილობისდროინდელ განცდასაც უმადლოდა მხატვარი აკაკის სულთან ასეთ მიახლოებას!

...მხატვარმა უნდა დახატო არა მარტო ის, რასაც ხედავ, არამედ ხედვაში უნდა აქსოვდე, რასაც გრძნობ, — ასე სწამდა კორნელ სანაძეს.

...უნდა ხატო რაც შეიძლება ბევრი, რომ ხანდახან მაინც გამოვიდეს შენი გრძნობის, შენი არსის და შენი ფერის შესატყვისი გამოსახულება. არასოდეს არ ყოფილა და არც იქნება — ყველაფერი გამოგვიდეს შედეგრი, მაგრამ ყველგან უნდა მოჩანდეს შენი ცოდნა, მონდომება და თავდადება...

დღიურში გაბნეული ეს ფიქრები მის პორტრეტს ამდიდრებს. თავის აღსაზრდელებსაც ამგვარ მეუაითობას და თავდადებას უქადაგებდა ნახევარი საუკუნის მანძილზე. მაღლიერიც ბევრი ჰყავდა და მოპაეჭრეც, მაგრამ წოხსწორობას არ კარგავდა. აღმართაღმართ მიმავალი მთის ძირში მდგარ თავის სახლს რომ მიუახლოვდებოდა, მთაწმინდის სიახლოვეე ამშვიდებდა, შინ კი თავისი ფუნჯით შექმნილი სამყარო და თოლია, რომელსაც ბაბუას გვერდით უყვარდა ხოლმე ხატვა.

ბოლო ხანს, განსაკუთრებით ავადმყოფობაში, წუხდა, რომ ხალხისთვის ხელმისაწვდომად არ ეკიდა სადმე მისი ნაღვაწი, მაგრამ თვითონვე იმშვიდებდა თავს: „თუ ჩემს ქვეყანას ვემახსოვრები, არაფერს ნიშნავს გარდაცვალებაო“. ლექსებსაც თხზავდა, „საყვარელ ქუჩაზე“ ხომ სიმღერადაც იქცა. დედაჩემი პოეტობდა კიდეცო, — წერს დღიურში, რომელშიც გალაკტიონთან, ტერენტი გრანელთან, ალეკო დადიანთან, ალექსანდრე წუწუნავასთან, ლადო გრიგოლიასთან შეხვედრებს იგონებს. მალე მის წიგნებს ახალი კრებულიც შეემატება. „სიმღერით მოვალ“ — ერთ-ერთი ბოლოდროინდელი ლექსის სათაური შეურჩევია ამ წიგნისთვის ქალბატონ თინას — ცნობილი ქართველი ჟურნალისტის დავით ვოლსკის ასულს.

— მაშ თქვენ გრიგოლ ვოლსკის შთამომავალი ბრძანდებით?

— დიახ — მიპასუხა მან ფარული სიამაყით.

დავით კლდიაშვილის მემუარებში ეს პიროვნება დახასიათებულია როგორც ფრიად გავლენიანი საზოგადო მოღვაწე, უაღრესად სამართლიანი და გულკეთილი, ქვეყნის სიკეთის მოსურნე, ამავე დროს იმდენად კარგი ლიტერატორი და მოქართულე, რომ ხშირად მის მიერ გასწორებულ „ივერიისა“ და „კვალის“ ნომრებს ბათუმიდან უგზავნიდაო ილია ჭავჭავაძესა და გიორგი წერეთელს, რასაც თურმე ორივენი დიდად უფასებდნენ.

მოულოდნელი და სასიამოვნო იყო ეს „აღმოჩენა“.

* * *

დიდი ავტოპორტრეტის წინ, როიალზე დაფურცლულმა ვარდის თაიგულმა გამახსენა, რომ მხოლოდ ნამდვილი ვარდები ჭკნებიან....

ბედნიერია შემოქმედი.

თუმცა იგი იმ განცდით წავიდა, რომ მის მარჯვენას ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა შეექმნა...

არ მომკლა, ბიჭოო, — სთხოვდა თურმე ექიმს.

...რა ახლო არის ზამთარი და რა შორია აპრილი—გაიელვა ფიქრებში ლექსის ნაწყვეტმა. 1985 წლის თებერვალში გარდაიცვალა.

აპრილი, მართლაც, მიუღწეველი ნაპირივით შორეთში დარჩა...

ნანა ღვინეფაძე.

სპორტი

საფეხბურთო მიმოხილვა

სამი ნაცნობი და ხუთი უცნობი?

● ჩვენ ფინალში ვითამაშებთ ● ბოგბის აფეთქება როტერდამში ● საბჭოთა ოლიმპიური ნაკრები ერთპიროვნული ლიდერია.

ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის შეხვედრები რომ გაისად გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ფეხბურთელთა 8 საუკეთესო ეროვნულ გუნდს შორის მოეწყობა, ყველამ იცის. ცნობილია ისიც, რომ გფრ-ის ნაკრები, როგორც მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენელი, ამ შეჯიბრებაში პერსონალურად არის დაშვებული. დანარჩენი შვიდი მონაწილის ვინაობა შვიდ მერჩევით ჯგუფში უნდა გარკვეულიყო. და აი, ამ საკვალიფიკაციო ჯგუფებიდან **მესამეში** (აგრეთვე მეუთეშიც) უკვე გაირკვა გამარჯვებული, ცხადია, შეჯიბრების დასკვნითი ეტაპის მონაწილე. ეს არის სსრ კავშირის ნაკრები, რომელმაც გუშინწინ სიმფეროპოლში დაამარცხა ისლანდიის გუნდი ანგარიშით 2:0, საბოლოოდ 13 ქულა დაგროვა და დანარჩენი კოლექტივებიდან ვეღარავინ დაეწევა. ამ ჯგუფში მეორე ადგილზე მყოფმა გდრ-ის ნაკრებმა დაამარცხა ნორვეგიელთა გუნდი და 9 ქულა აქვს. ჯგუფში გასამართავი დარჩა ერთი მატჩი: საფრანგეთსა და გდრ-ის ნაკრებ გუნდებს შორის, მაგრამ გერმანელებმა ეს მატჩიც რომ მოიგონ, საბჭოთა ფეხბურთელებს მაინც ვეღარ დაეწევიან. ამჟამად ფრანგებს და ისლანდიელებს 6-6 ქულა აქვთ. ნორვეგიელებს — 4.

როგორც აღვნიშნეთ, კიდევ ერთი ფინალისტის ვინაობა გაირკვა. **მეხუთე ჯგუფში** ჰოლანდიელებმა მორიგი მატჩი გამართეს კვიპროსელებთან და დაამარცხეს დიდი ანგარიშით 8:0. ამ მოგების შემდეგ ჰოლანდიელებმა 12 ქულა დაგროვეს. ახლა მათ ვეღარავინ დაეწევა. ოღონდ ეს არის, როტერდამში, სადაც ჰოლანდიელთა და კვიპროსელთა მატჩი მოეწყო, სტუმართა მეკარე მარიტოუ დაიჭრა მას შემდეგ, როცა ვიღაც ვაი-გულშემატკივარმა ბომბი ისროლა. ბომბი მეკარის მახლობლად აფეთქდა და კვიპროსელებმა ლაჭრილი მეკარე შეცვალეს. ლუქსემბურგელმა მსაჯმა რიგ ფილიპმა თავდაპირველად მატჩის შეწყვეტა განიზრახა, მაგრამ გუნდების წარმომადგენელთა თხოვნით 56 წუთს შეწყვეტილი შეხვედრა განაახლა. მეორე ადგილზე მყოფ ბერძნებს 9 ქულა აქვთ და ჰოლანდიელებთან 16 დეკემბერს გასამართავი შეხვედრა დარჩათ. თუმცა, კიდეც რომ მოიგონ, ფინალურ ჯგუფში ვეღარ მოხვდებიან. ამჟამად უნგრელებს და პოლონელებს — 6-6 ქულა აქვთ (7-7 მატჩიდან), კვიპროსელებს — 1 (6-დან).

ახლა იმის შესახებ, თუ ვინ აცხადებს ფინალურ ტურნირში მონაწილეობის პრეტენზიას სხვა შერჩევითი ჯგუფებიდან. მიეყვეთ რიგით:

პირველი ჯგუფი. აქ მორიგი მატჩი ალბანეთ-რუმინეთის გუნდებს შორის მოეწყო და რუმინელებმა მოიგეს 1:0. ახლა ამ ჯგუფში მოსაპარაზე ოთხივე გუნდს თითო მატჩი დარჩა. მათგან ფინალის ერთადერთი საგზური რეალური პრეტენდენტები არიან ესპანელები და რუმინელები, რომელთაც ხუთ-ხუთი მატჩის შემდეგ 8-8 ქულა აქვთ. ამ ორ პრეტენდენტს შორის უძლიერესი გაირკვევა 11 ნოემბერს, როცა ესპანელები უმასპინძლებენ ალბანელებს, ავსტრიელები კი რუმინელებს. ისიც უნდა თქვას, რომ რუმინელებს გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი შეფარდება აქვთ (13:3), ვიდრე ესპანელებს (9:6).

მეორე ჯგუფში გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია: შვეიცარია — 10 ქულა (7 მატჩიდან), იტალია — 9 (6-დან), შვეიცარია — 5 (6-დან), პორტუგალია — 5 (5-დან), მალტა — 1 (6-დან). მეორე ჯგუფში გამარჯვების თეორიული შესაძლებლობები იტალიელებსა და შვეიდს აქვთ, მაგრამ ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ ამ ეტაპზე გასამართავი კიდევ 5 მატჩი როგორ დასრულდება.

მეოთხე ჯგუფში კიდევ სამი მატჩია მოსაწყობი: იუგოსლავია-ინგლისი. ჩრდილოეთ ირლანდია-თურქეთი, თურქეთი-იუგოსლავია. ამჟამად გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია, ინგლისი — 9 ქულა (5 მატჩიდან), იუგოსლავია — 6 (4-დან), თურქეთი — 2 (4-დან), ჩრდილოეთ ირლანდია — 1 (5-დან). როგორც ხედავთ, ამ ჯგუფში გამარჯვებულს გამოსავლენად დიდი მნიშვნელობა ექნება იუგოსლავიისა და იხგლისის გუნდების შეხვედრას, რომელიც 11 ნოემბერს გაიმართება.

მეექვსე ჯგუფში გამარჯვებული გაირკვევა იმ ერთადერთი დარჩენილი მატჩის შემდეგ, როცა ჩეხოსლოვაკიელები უელსელებს შეხვდებიან (11 ნოემბერს). დანიელებმა შესარჩევი ტურნირი უკვე დაამთავრეს და 8 ქულა აქვთ (ბურთების შეფარდება — 4:2), უელსელებს — 6 (7:3), ჩეხოსლოვაკიელებს — 5, ფინელებს — 3. ამრიგად, თუ უელსელები გაიმარჯვებენ, მათ დარჩებათ პირველობა, თუ დამარცხდნენ ან მატჩი ფრედ დამთავრდა, დანიელები ითამაშებენ ფინალურ ეტაპში.

მეშვიდე ჯგუფში სამი მატჩი დარჩა გასამართავი: ბელგია-ლუქსემბურგი, ბულგარეთი-შოტლანდია, ლუქსემბურგი-შოტლანდია. ჯერჯერობით გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია: ირლანდია — 11 ქულა (8 მატჩიდან), ბულგარეთი — 10 (7-დან), ბელგია — 7 (7-დან), შოტლანდია — 6 (6-დან), ლუქსემბურგი — 0 (6-დან). ამ ჯგუფში გამარჯვების დიდი შანსი აქვთ ბულგარელებს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ შოტლანდიელებთან ბულგარელების დამარცხების შემთხვევაში ფინალურ ეტაპში თამაშის უფლება ირლანდიელებს დარჩებათ.

ამრიგად, ფინალური ეტაპის 8 მონაწილიდან 3 უკვე ცნობილია: გფრ, სსრ კავშირი (მესამე ჯგუფი) და ჰოლანდია (მეხუთე ჯგუფი)

* * *

ბოკლედ ოლიმპიურ შესარჩევ ტურნირში საბჭოთა ნაკრების მიერ მოპოვებული პირობი გამარჯვების თაობაზეც. ჩვენმა ნაკრებმა ამ ეტაპის მეხუთე კალენდარულ მატჩი შვეიცარიის ოლიმპიურ ნაკრებთან ლოზანაში გამართა და გაიმარჯვა ანგარიშით 4:2. სხვებთან ერთად ამ მატჩში ჩვენი ნაკრების ღირსეულად იცავდა თბილისელი დინამოელი გ. კეტაშვილი. ამ შესარჩევ ჯგუფში სსრ კავშირის ოლიმპიურ ნაკრებს ჯერჯერობით 9 ქულა აქვს და ერთპიროვნული ლიდერია. მომდევნო ადგილებზე არიან შვეიცარიელები — 6 ქულა (6 მატჩიდან), ნორვეგიელები — 4 (6-დან), თურქეთი — 3 (4-დან) და ბულგარელები — 2 (3-დან). ოლიმპიადის დასკვნით ეტაპში მონაწილეობის ყველაზე რეალური შესაძლებლობები საბჭოთა ოლიმპიელებს აქვთ. მათ 5 მატჩიდან 4 მოგეს და 1 ფრედ დაამთავრეს. ჩვენს ნაკრებს შესარჩევ ტურნირში კიდევ 3 მატჩი აქვს გასამართავი და სამივეს შინ ითამაშებს: 1968 წლის 27 აპრილს ბულგარელებთან, 6 მაისს— თურქეთთან და 10 მაისს — შვეიცარიელებთან.

უკანასკნელ საათს

შვეიცარიის ქალაქ ბერნიდან მოვიდა ცნობა, რომ უეფას სადისციპლინო კომიტეტი 12-13 ნოემბერს გამართავს საგანგებო სხდომას, რომელზეც განიხილავს ჰოლანდიისა და კვიპროსის ფეხბურთელთა გუნდების შესარჩევ მატჩზე მომხდარ ინცინდენტს. უეფას წარმომადგენელმა ეურნალისტებს გაანაცხადა, რომ ჰოლანდიელთა მიმართ უთუოდ იქნება მიღებული სანქციები. შესაძლებელია ისიც, რომ გუნდს ნაგება ჩაეთვალოს